საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე — მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

02 აპრილი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №127/17-2

-- -- 2017 წლის 13 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მარტის №127/17-2 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მან 2015 წლის 7 ოქტომბერს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და მოპასუხისთვის (-- --) 22 000 ამერიკული დოლარის დაკისრება მოითხოვა. საქმეს განიხილავდა რამოდენიმე მოსამართლე, თუმცა, საქმის განხილვა დღემდე (საჩივრის შემოტანის დროისათვის) არ დაწყებულა და არ ჩატარებულა სასამართლო სხდომა. -- -- აღნიშნავს, რომ დარჩენილია უსახლკაროდ, ჰყავს სამი მცირეწლოვანი ბავშვი, ჰყავს დასნეულებული მეუღლე, ვერ ტოვებს ქვეყანას ამ დავის გამო და რადგან არ სრულდება საქმის განხილვა, ვერ იღებს კუთვნილ ფულს. ამით, ირღვევა მისი უფლებები და ადგება ზიანი.

2016 წლის აგვისტოში საჩივრის ავტორმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის განხილვის დაჩქარება, რადგან დარღვეული იყო ყველანაირი საპროცესო ვადა. თუმცა, ამ განცხადებას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 17 სექტემბერს -- -- (წარმომადგენლის, -- -- მეშვეობით) სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და სადავო უძრავ ნივთზე ყადაღის დადება მოითხოვა.

2015 წლის 18 სექტემბრის განჩინებით მოსამართლე -- -- მიიჩნია, რომ განცხადება წარმოდგენილი იყო ხარვეზით (განცხადებას არ ჰქონდა დართული წარმომადგენლობის დამადასტურებელი რწმუნებულება არ იყო ხელმოწერილი) და -- -- დაუდგინა 05 დღიანი ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

2015 წლის 21 სექტემბერს სასამართლოში წარდგენილ იქნა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი. 2015 წლის 22 სექტემბერს საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა წარადგინა დაზუსტებული განცხადება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. 2015 წლის 23 სექტემბრის განჩინებით გაგრძელებულ იქნა ხარვეზის აღმოსაფხვრელად დადგენილი 05 დღინი ვადა კიდევ 05 დღით, რადგან განცხადებას არ ჰქონდა დართული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. 2015 წლის 28 სექტემბერს განმცხადებელმა წარადგინა აღნიშნული დოკუმენტი.

2015 წლის 28 სექტემბრის მოხსენებითი ბარათით მოსამართლე -- --, მივლინებაში ყოფნის გამო ითხოვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების სხვა მოსამართლისათვის გადაცემა. განცხადება გადაეცა მოსამართლე -- --.

2015 წლის 29 სექტემბრის განჩინებით -- -- განცხადება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

საჩივრის ავტორის სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2015 წლის 07 ოქტომბერს. მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისათვის 22 000 ამერიკული დოლარის დაკისრებას (სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა).

2015 წლის 09 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათით მოსამართლე -- -- ითხოვა აღნიშნული საქმის ისევ მოსამართლე -- -- გადაცემა. 2015 წლის 12 ოქტომბრიდან საქმე განსახილველად დაუბრუნდა მოსამართლე -- --.

2015 წლის 12 ნოემბერს მოპასუხე შპს „--“ წარმოადგინა შესაგებელი, რომლითაც არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას.

2016 წლის 22 მარტს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და აღნიშნა, რომ ის გაეცნო შესაგებელს, მიიჩნევს რომ შესაგებელი ეფუძვნება ცრუ მსჯელობას. განცხადებას დართული ჰქონდა ფოტომასალა, რომელიც ადასტურებდა აღნიშნულ მოსაზრებას.

2016 წლის 10 ოქტომბერს -- -- მოხსენებითი ბარათით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და ითხოვა განტვირთვის მიზნით, აღნიშნული საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა. 2016 წლის 25 ოქტომბრიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 15 ნოემბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და მოითხოვა საქმის განხილვის დაჩქარება, რადგან უკვე გასული იყო საქმის განხილვისათვის დაწესებული საპროცესო ვადა. 2017 წლის 19 ივნისს მოსამართლე -- -- განტვირთვის მიზნით ითხოვა წინამდებარე საქმის სხვა მოსამართლეზე გადაცემა. 2017 წლის 24 ივნისიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 22 სექტემბრიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2017 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 17 ოქტომბერს. 2017 წლის 17 ოქტომბერს ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, რომელიც გადაიდო 2017 წლის 20 ოქტომბერს.

2017 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე მხარეები მორიგდნენ და მოსამართლე -- -- საოქმო განჩინებით დაამტკიცა მხარეებს შორის დადებული მორიგების აქტი.

2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელი გაიცა 2017 წლის 22 დეკემბერს.

2.2. მოსამართლე -- -- 2017 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით განსახილველად გადაცემული ჰქონდა დაახლოებით - 385 საქმე, დაასრულა - 332 საქმე (86.2%).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო

გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece; §93; Tiece v. San Marino; §31; Sürmeli v. Germany, §129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.

განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

2017 წლის 24 ივნისიდან 2017 წლის 14 სექტემბრამდე საქმეს განიხილავდა მოსამართლე -- --. განსახილველი საქმე მოსამართლე -- -- ეწერა 3 თვე, ამდენად, მოსამართლე -- -- ქმედებაში არ იკვეთება მოცემული საქმის განხილვის „უსაფუძვლო“ გაჭიანურების ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 2 აპრილს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №127/17-2 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი